# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №63

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **20 ნოემბერი 2017წ.**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

" ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ ---- "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და " სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას) , რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

"მიმწოდებელი "ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

"დღე" "კვირა" "თვე" ნიშნავს კალენდარული დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორს (დირექტორი გ.პაპუკაშვილი , მისამართი სტალინის ქუჩა №27, ს/კ 429320745; სახელმწიფო ხაზინა. TRESGE22,GE24NB0330100200116502 – (შემდგომში - „შემსყიდველი")

( შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი „თემურ ქავთარაძეს"-ს შორის, ( მისამართი: ქ.დუშეთი, 300 არაგველის ქ.N2; ს/კ 16001026816; მომსახურე ბანკი -ს.ს. „ლიბერთი ბანკი"; ბანკის კოდი LBRTGE22; ა/ა GE25LB0711155237640000)

(მიმწოდებილის დასახელება და რეკვიზიტები)

3.ხელშეკრულების საგანი:

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV-03400000/03413000 მეტყევეობისა და ტყეკაფის პროდუქტები. 30 მ$^3$ საშეშე მერქნის შესყიდვა - მიწოდება, დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ფილიალისათვის(კომპლექსური სასპორტო სკოლა(მიწოდება,დაჭრა) და მასში შემავალი 6 სპორტული დარბაზი),გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,თანდართული ცხრილის შესაბამისად.

4 ხელშეკრულების ღირებულება

4.1მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს: **3000 (სამი ათასი)ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა. შესასყიდი საშეშე მერქნის ერთეულის ფასი თანდართული ფასების ცხრილის შესაბამისად

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია: ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი დირექტორსა და მიმწოდებელს შორის პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე .

ვ.ბ.

ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

6.1 საშეშე მერქანი მიწოდებულად ჩაითვლება გაფორმებული "მიღება - ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გაერთიანების დირექტორი და ბუღალტერი.

## 8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საშეშე მერქანი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში .

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე .

## 10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრის შეცვლა,ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია

არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა.

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა

## 13. ფორს – მაჟორი.

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 14 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას [illegible] შეატყობინებს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და [illegible]

შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულების მიწოდების ვადა -2017 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2018 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება:

დირექტორი: /ბ. ბაბულკაშვილი/

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი: /თ. ქავთარაძე/

დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ფილიალებში შესატანი საშეშე მერქანი

| ფილიალის დასახელება | მისამართი | საშეშე მერქანი - 1მ$^3$ ღირებულება | რაოდენობა | თანხა |
|---|---|---|---|---|
| დუშეთის სასპორტო სკოლა | ქ.დუშეთი რუსთაველის ქ.25 | 100 | 6 | 600 |
| ოძისის სპორტ დარბაზი -6 | სოფ.ოძისი | 100 | 4 | 400 |
| ნიჩბოსნობის ბაზა -5 | ბაზალეთის ტბა | 100 | 4 | 400 |
| ბულაჩაურის სპორტ დარბაზი | სოფ.ბულაჩაური | 100 | 4 | 400 |
| ფასანაურის სპორტ.დარბაზი | დაბა.ფასანაური | 100 | 4 | 400 |
| ბაზალეთის სპორტ. დარბაზი | სოფ.ბაზალეთი | 100 | 4 | 400 |
| მჭადიჯვრის სპორტ. დარბაზი | სოფ.მჭადიჯვარი | 100 | 4 | 400 |
| | ჯამი: | 100 | 30 | 3000 |